იბეჭდება სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის
მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და
ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის,
უწმინდესისა და უნეტარესის,
ილია II-ის ლოცვა-კურთხევით

# დიდი პანაშვიდი

ტექსტი გამოსაცემად მომზადდა 1998 წელს
დაბეჭდილი „მცირე კურთხევანის“ მიხედვით
თბილისის სასულიერო აკადემიაში.
შევსებულია ტიპიკონური ხასიათის შენიშვნებით.
გამოიცა სიონის საკათედრო ტაძრის შემოწირულობით


რედაქტორები **გიორგი მეტრეველი**

**გიორგი ჯულაყიძე**



© თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა



ISBN 978-9941-9473-6-0

# დიდი პანაშვიდი



თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა

თბილისი

2016

# ᲬᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲒᲔᲑᲐ ᲞᲐᲜᲐᲨᲕᲘᲓᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲐᲦᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲪᲕᲐᲚᲔᲑᲣᲚᲡᲐ ᲖᲔᲓᲐ

**დიაკონი:** უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო, გუაკურთხენ.

**მღვდელი:** კურთხეულ არს ღმერთი ჩუენი ყოვლადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

**გუნდი:** ამინ.

წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდაო, შეგჳწყალენ ჩუენ *(3-გ ზის)*.

**მედავითნე:** დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ყოვლადწმიდაო სამებაო, შეგჳწყალენ ჩუენ, უფალო, გჳხსენ და გჳლხინე ცოდვათა ჩუენთაგან, მეუფეო, შეგჳნდვენ უსჯულოებანი ჩუენნი, წმიდაო, მოიხილე და განკურნენ უძლურებანი ჩუენნი სახელისა შენისათჳს.

უფალო, შეგჳწყალენ *(3-გ ზის)*.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა, პური ჩუენი არსობისაჲ მომეც ჩუენ დღეს და მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩუენთა და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიჴსნენ ჩუენ ბოროტისაგან.

**მღვდელი:** რამეთუ შენი არს სუფევაჲ, ძალი და დიდებაჲ მამისა და ძისა და წმიდისა სულისაჲ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

**მედავითნე:** ამინ. უფალო, შეგვიწყალენ *(12-გზის)*.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მოვედით, თაყუანის-ვსცეთ მეუფესა ჩუენსა ღმერთსა.

მოვედით, თაყუანის-ვსცეთ და შეუვრდეთ ქრისტესა, მეუფესა ჩუენსა ღმერთსა.

მოვედით, თაყუანის-ვსცეთ და შეუვრდეთ თჳთ ქრისტესა, მეუფესა და ღმერთსა ჩუენსა.

ფსალმუნი 90-ე: რომელი დამკჳდრებულ არს შეწევნითა მაღლისაჲთა, საფარველსა ღმრთისა ზეცათაჲსა განისუენოს. ჰრქუას უფალსა: ჴელისაღმპყრობელი ჩემი ხარი შენ და შესავედრებელი ჩემი, ღმერთი ჩემი, და მე ვესავ მას, რამეთუ მან გიჴსნეს შენ საფრჴისა მისგან მონადირეთაჲსა და სიტყჳსა მისგან განსაკრთომელისა. ბეჭთსაშუვალითა მისითა გფარვიდეს შენ და საგრილსა ფრთეთა მისთასა ესვიდე; საჭურველად გარემოგადგეს შენ ჭეშმარიტებაჲ მისი. არა გეშინოდის შიშისაგან ღამისა და ისრისაგან, რომელი ფრინავნ დღისი; ღუაწლისაგან, რომელი ვალნ ბნელსა შინა, შემთხუევისაგან და ეშმაკისა შუვადღისა. დაეცნენ მარცხენით შენსა ათასეულნი და ბევრეულნი - მარჯუენით შენსა, ხოლო შენ არა მიგეახლნენ. ხოლო შენ თუალითა შენითა ჰხედვიდე და მისაგებელი ცოდვილთაჲ იხილო. რამეთუ შენ, უფალი, ხარ სასო ჩემდა და მაღალი გიყოფიეს შესავედრებელად შენდა. არა შევიდეს შენდა მჳრი და გუემაჲ არა მიეახლოს საყოფელთა შენთა. რამეთუ ანგელოზთა მისთადა უბრძანებიეს შენთჳს დაცვად შენდა ყოველთა შინა გზათა შენთა; ჴელთა მათთა ზედა აღგიპყრან შენ, ნუსადა წარსცე ქვასა ფერჴი შენი; ასპიტსა და ვასილისკოსსა ზედა ხჳდოდი და დასთრგუნო შენ ლომი და ვეშაპი. რამეთუ მე მესვიდა და ვიჴსნა იგი და დავიფარო იგი, რამეთუ იცნა სახელი ჩემი. ჴმა-ყოს ჩემდამო და მე ვისმინო მისი და

მის თანა ვიყო ჭირსა შინა; ვიჴსნა იგი და ვადიდო იგი. დღეგრძელებითა განვაძღო იგი და უჩუენო მას მაცხოვარებაჲ ჩემი.

**დიაკონი:** მშჳდობით უფლისა მიმართ ვილოცოთ.

**გუნდი:** უფალო, შეგჳწყალენ.

**დიაკონი:** ზეგარდამო მშჳდობისა და ცხოვრებისათჳს სულთა ჩუენთაჲსა უფლისა მიმართ ვილოცოთ.

**გუნდი:** უფალო, შეგჳწყალენ.

**დიაკონი:** მიტევებისათჳს ცოდვათაჲსა სანატრელსა შინა ჴსენებასა მიცვალებულისა უფლისა მიმართ ვილოცოთ.

**გუნდი:** უფალო, შეგჳწყალენ.

**დიაკონი:** მარადის ჴსენებისა მონისა ღმრთისა ***(ანუ მჴევლისა - სახელი)*** განსუენებისა, მყუდროებისა და ნეტარჴსენებისა მისისათჳს უფლისა მიმართ ვილოცოთ.

**გუნდი:** უფალო, შეგჳწყალენ.

**დიაკონი:** რაჲთა მიეტევნეს მას ყოველნი შეცოდებანი მისნი, ნებსითნი და უნებლიეთნი, უფლისა მიმართ ვილოცოთ.

**გუნდი:** უფალო, შეგჳწყალენ.

**დიაკონი:** რაჲთა დაუშჯელად წარდგეს საშინელ-სა საყდარსა დიდებისა უფლისაჲსა, უფლისა მიმართ ვილოცოთ.

**გუნდი:** უფალო, შეგჳწყალენ.

**დიაკონი:** რაჲთა მგლოვარეთა და ტკივნეულთა ნუ-გეშინის-სცეს ქრისტემან, უფლისა მიმართ ვილოცოთ.

**გუნდი:** უფალო, შეგჳწყალენ.

**დიაკონი:** რაჲთა მიეტევნეს მას ყოველნი ტკივილ-ნი, მგლოვარებანი და სულთქუმანი და დაემკჳდროს იგი, სადაცა მიჰხედავს ნათელი პირისა ღმრთისაჲ, უფლისა მიმართ ვილოცოთ.

**გუნდი:** უფალო, შეგჳწყალენ.

**დიაკონი:** რაჲთა უფალმან ღმერთმან ჩუენმან დააწესოს სული მისი ადგილსა ნათლისასა, ადგილ-სა მწუანვილოვანსა, ადგილსა განსუენებისასა, სადა ყოველნი მართალნი დაემკჳდრებიან, უფლისა მიმართ ვილოცოთ.

**გუნდი:** უფალო, შეგჳწყალენ.

**დიაკონი:** რაჲთა აღირაცხოს იგი წიაღთა შინა აბრაჰამ, ისაკ და იაკობისთა, უფლისა მიმართ ვილო-ცოთ.

**გუნდი:** უფალო, შეგვიწყალენ.

**დიაკონი:** ჴსნად ჩუენდა ყოვლისაგან ჭირისა, რისხვისა და იწროებისა უფლისა მიმართ ვილოცოთ.

**გუნდი:** უფალო, შეგვიწყალენ.

**დიაკონი:** შეგუეწიენ, გუაცხოვნენ, შეგვიწყალენ და დაგვიცვენ ჩუენ, ღმერთო, შენითა მადლითა.

**გუნდი:** უფალო, შეგვიწყალენ.

**დიაკონი:** წყალობაჲ ღმრთისაჲ და სასუფეველი ცათაჲ მისთჳს და თავთა ჩუენთათჳს და ურთიერთას ვითხოვოთ.

**გუნდი:** მოგუმადლენ, უფალო.

**დიაკონი:** და ყოველი ცხოვრებაჲ ჩუენი ქრისტესა, ღმერთსა ჩუენსა, შევვედროთ.

**გუნდი:** უფალო, შეგვიწყალენ.

**დიაკონი:** რამეთუ შენ ხარ აღდგომა და ცხოვრება და განსუენება მიცვალებულისა მონისა შენისა ***(ანუ მჴევლისა - სახელი)***, ქრისტე ღმერთო ჩუენო, და შენდა დიდებასა აღვავლენთ, თანადაუსაბამოჲთ მამით შენით და ყოვლადწმიდით, სახიერით და ცხოველსმყოფელით სულით შენითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნი-

სამდე.

**მედავითნე:** ამინ.

**დიაკონი:** ალილუია, ალილუია, ალილუია.

**გუნდი:** ალილუია, ალილუია, ალილუია.

**დიაკონი:** ნეტარ არს, რომელი გამოირჩიე და შეიწყნარე, უფალო.

**გუნდი:** ალილუია, ალილუია, ალილუია.

**დიაკონი:** და საჴსენებელი მათი თესლითი-თესლადმდე.

**მედავითნე:** რომელი სიღრმითა მით სიბრძნისა შენისაჲთა კაცთმოყუარებით ყოველსავე განაგებ, რომელი უმჯობესსა ყოველთასა განაწესებ, მხოლოო დამბადებელო ყოველთაო, განუსუენე სულსა მონისა ამის შენისა ***(ანუ მჴევლისა - სახელი)***, რამეთუ შენდა მომართ აქუნდა სასოებაჲ, შემოქმედისა ყოველთაჲსა და კაცთმოყუარისა ღმრთისა.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

შენ ხარ ზღუდჱ ჩუენი და ნავთსაყუდელი და მეოხი, კეთილად შემწყნარებელი მისა მიმართ, რომელი ჰშევ

შენ, ღმრთისმშობელო უსძლოო, მორწმუნეთა ცხოვ-რებაო.

*მღვდელი აღასრულებს კმევას.*

**გუნდი:** კურთხეულ ხარ შენ, უფალო, მასწავენ მე სიმართლენი შენნი.

კრებულმან წმიდათამან ჰოვა წყაროჲ ცხოვრებისაჲ და კარი სამოთხისაჲ. მომმადლე მეცა, სახიერ, ჰოვნად გზაჲ იგი სინანულისაჲ, მე ვარ ცხოვარი იგი წარ-წყმედული, მომიმიე მონაჲ შენი, მაცხოვარ, და შემი-წყალე მე.

კურთხეულ ხარ შენ, უფალო, მასწავენ მე სიმარ-თლენი შენნი.

პირველად უკუე ოდესმე არარაჲსაგან დამბადე მე და ხატებითა შენითა საღმრთოჲთა პატივ-მეც მე, ხოლო გარდასლვითა მცნებათაჲთა კუალად მიწადვე მიმაქ-ციე, ვინაჲცა დავიბადე, არამედ ჯერისაებრ აღმომიე-ვანე და პირველსავე პატივსა ღირს-მყავ.

კურთხეულ ხარ შენ, უფალო, მასწავენ მე სიმარ-თლენი შენნი.

ხატი ვარ უსაზღვროჲსა დიდებისა შენისაჲ, მეუფეო, დაღაცათუ მმოსიან მე წყლულებანი შეცოდებათანი.

შემიწყალე ქმნილი შენი და განმწმიდე მე სახიერებითა შენითა და საწადელისა მის მამულისა მკჳდრობაჲ კუალად მომანიჭე მე.

კურთხეულ ხარ შენ, უფალო, მასწავენ მე სიმართლენი შენნი.

ტარიგი ღმრთისაჲ გჳქადაგეთ და მისთჳს დაიკლენით ვითარცა კრავნი, წმიდანო, და ცხოვრებასა სამარადისოსა და დაუსრულებელსა მიიცვალენით, მას ევედრენით წადიერად, რაჲთა მოგჳტევნეს თანანადებნი ბრალთა ჩუენთანი მეუფემან.

კურთხეულ ხარ შენ, უფალო, მასწავენ მე სიმართლენი შენნი.

განუსუენე, ღმერთო, მონათა შენთა მიცვალებულთა, და დააწესენ იგინი სამოთხესა საშუებელისასა, სადა-იგი არიან კრებულნი წმიდათანი და მართალნი ბრწყინვენ, ვითარცა მნათობნი, რომელნი შეივედრენ, შეიწყალენ, სახიერ, და აღჴოცენ ცოდვანი მათნი.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

სამებრწყინვალებასა ერთღმრთეებისასა, მორწმუნენო, მართლმადიდებლობით უგალობდეთ და ესრეთ ვიტყოდეთ: წმიდა ხარ, მამაო დაუსაბამოო, ძეო თანადაუსაბამოო და სულო წმიდაო, განგუანათლენ ჩუენ,

რომელნი სარწმუნოებით გმონებთ შენ, და საუკუნოჲ-სა მის უშრეტისა ცეცხლისაგან გჳჴსნენ ჩუენ.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

გიხაროდენ, ქალწულო, რომელმან ჰშევ ღმერთი ჴორცითა ცხოვრებად ნათესავისა კაცთაჲსა, და ბუნე-ბამან ჩუენმან ჰოვა შენ მიერ გამოჴსნაჲ. მეოხებითა შენითა წარგჳმეღუ ჩუენ სამოთხედ, ღმრთისმშობელო, მარადის კურთხეულო.

ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდებაჲ შენდა, ღმერთო.

ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდებაჲ შენდა, ღმერთო.

ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდებაჲ შენდა, ღმერთო ჩუენო, დიდებაჲ შენდა.

**დიაკონი:** მერმე და მერმე მშჳდობით უფლისა მიმართ ვილოცოთ.

**გუნდი:** უფალო, შეგჳწყალენ.

**დიაკონი:** მერმეცა გევედრებით განსუენებისათჳს სულისა მიცვალებულისა მონისა ღმრთისა *(ანუ მჴევლისა - სახელი)*, რაჲთა შეენდვნეს ამას ყოველნივე ცოდვანი ამისნი ნებსითნი და უნებლიეთნი.

**გუნდი:** უფალო, შეგჳწყალენ.

**დიაკონი:** რაჲთა უფალმან ღმერთმან ჩუენმან დააწესოს სული ამისი, სადაცა მართალნი განისუენებენ.

**გუნდი:** უფალო, შეგჳწყალენ.

**დიაკონი:** წყალობაჲ ღმრთისაჲ და სასუფეველი ცათაჲ და მიტევებაჲ ცოდვათა ამისთაჲ, ქრისტეს მიერ უკუდავისა მეუფისა და ღმრთისა ჩუენისაგან მისთჳს და თავთა ჩუენთათჳს და ურთიერთარს ვითხოვოთ.

**გუნდი:** მოგუმადლენ, უფალო.

**დიაკონი:** უფლისა მიმართ ვილოცოთ.

**გუნდი:** უფალო, შეგჳწყალენ.

**მღვდელი:** ღმერთო სულთაო და ყოველთა ჴორციელთაო, რომელმან სიკუდილი განაქარვე და ეშმაკი დათრგუნე და ცხოვრებაჲ სოფელსა მოანიჭე, შენ, უფალო, განუსუენე სულსა მიცვალებულისა მონისა შენისა *(ანუ მჴევლისა - სახელი)* ადგილსა ნათლისასა, ადგილსა მწუანვილოვანსა, ადგილსა განსასუენებელსა, სადა-იგი არა არს სალმობაჲ, მწუხარებაჲ და სულთქუმაჲ, და ყოველნი ცოდვანი, ამის მიერ ქმნილნი, საქმითნი, სიტყჳთნი და მოგონებითნი, ვითარცა სახიერმან და კაცთმოყუარემან ღმერთმან, შეუნდვენ,

რამეთუ არა არს კაცი, რომელი ცხონდეს და არა სცოდოს, რამეთუ შენ მხოლოჲ ხარ უცხო ყოვლისაგან ცოდვისა და სიმართლჱ შენი სიმართლე არს საუკუნო და სიტყუაჲ შენი - ჭეშმარიტ.

რამეთუ შენ ხარ აღდგომა და ცხოვრება და განსუენება მიცვალებულისა მონისა ამის შენისა *(ანუ მჴევლისა - სახელი)*, ქრისტე ღმერთო ჩუენო, და შენდა დიდებასა აღვავლენთ თანადაუსაბამოჲთ მამით და ყოვლადწმიდით, სახიერით და ცხოველსმყოფელით სულით შენითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

**გუნდი:** ამინ.

**მედავითნე:** განუსუენე, მაცხოვარო ჩუენო, მართალთა თანა მონათა შენთა და ესენი დაამკჳდრენ ეზოთა შინა შენთა, ვითარცა წერილ არს. უგულებელს-ყვენ, ვითარცა სახიერ ხარ, შეცოდებანი მათნი, ნებსითნი და უნებლიეთნი, და ყოველნივე, მეცნიერებით და უმეცრებით ქმნილნი, კაცთმოყუარე.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

ნებსითნი და უნებლიეთნი და ყოველნივე, მეცნიერებით და უმეცრებით ქმნილნი, კაცთმოყუარე.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

რომელი ქალწულისაგან აღმოუბრწყინდი სოფელ-სა, ქრისტე ღმერთო, და მის მიერ მედ ნათლისად გა-მოგუაჩინენ, შეგჳწყალენ, ყოვლადძლიერო ღმერთო.

ფსალმუნი 50-ე: მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყა-ლობითა შენითა და მრავლითა მოწყალებითა შენითა აჴოცე უშჯულოებაჲ ჩემი. უფროჲს განმბანე მე უშჯუ-ლოებისა ჩემისაგან და ცოდვათა ჩემთაგან განმწმიდე მე, რამეთუ უშჯულოებაჲ ჩემი მე უწყი და ცოდვაჲ ჩემი წინაშე ჩემსა არს მარადის. შენ მხოლოსა შეგცოდე და ბოროტი შენ წინაშე ვყავ, რაჲთა განჰმართლდე სიტყუ-ათაგან შენთა და სძლო შჯასა შინა შენსა. რამეთუ ესე-რა უშჯულოებათა შინა მიუდგა და ცოდვათა შინა მშვა მე დედამან ჩემმან. რამეთუ ესერა ჭეშმარიტებაჲ შეი-ყუარე, უჩინონი და დაფარულნი სიბრძნისა შენისანი გამომიცხადენ მე. მასხურო მე უსუპითა და განვწმიდნე მე, განმბანო მე და უფროჲს თოვლისა განვსპეტაკნე. მასმინო მე გალობაჲ და სიხარული და იხარებდენ მუალნი დამდაბლებულნი. გარემიაქციე პირი შენი ცოდვათა ჩემთაგან და ყოველნი უშჯულოებანი ჩემნი აჴოცენ. გული წმიდაჲ დაჰბადე ჩემ თანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გუამსა ჩემსა. ნუ განმაგ-დებ მე პირისა შენისაგან და სულსა წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან. მომეც მე სიხარული მაცხოვარებისა შენისაჲ და სულითა მთავრობისაჲთა დამამტკიცე მე.

ვასწავლნე უშჯულოთა გზანი შენნი და უღმრთონი შენ-და მოიქცენ. მიჴსენ მე სისხლთაგან, ღმერთო, ღმერთო ცხოვრებისა ჩემისაო; იხარებდეს ენაჲ ჩემი სიმართლე-სა შენსა. უფალო, ბაგენი ჩემნი აღახუნე და პირი ჩემი უთხრობდეს ქებულებასა შენსა. რამეთუ უკუეთუმცა გნება, მსხუერპლი შე-მცა-მეწირა, არამედ საკუერთხი არა გთნდეს. მსხუერპლ ღმრთისა არს სული შემუსრვი-ლი, გული შემუსრვილი და დამდაბლებული ღმერთმან არა შეურაცხ-ყოს. კეთილი უყავ, უფალო, ნებითა შენი-თა სიონსა და აღეშენნენ ზღუდენი იერუსალჱმისანი. მაშინ გთნდეს მსხუერპლი სიმართლისაჲ, შესაწირავი და ყოვლადდასაწუველი; მაშინ შეწირნენ საკურთხე-ველსა შენსა ზედა ზუარაკნი.

## გალობა I „უგალობდითსა“

**ძლისპირი:** ზღუაჲ მეწამული კუერთხმან განაპო, განჴმნეს სიღრმენი და უფსკრულნი იქმნნეს გზაჲ უჭურველთაჲ, და შეჭურვილთა მათ - საფლავ, არა დამმარხველ გუამთა. გალობით უგალობდეთ, რამეთუ დიდებით დიდებულ არს ქრისტე ღმერთი ჩუენი ცხ-ოველი.

განუსუენე, უფალო, სულსა მონისა ამის შენისასა.

სავანეთა მათ საუკუნეთა ზეცათა შინა დამკჳდრებულნი, მარადის მჴნენი მარტჳლნი, გევედრებიან, ქრისტე, მორწმუნენი, რომელნი ქუეყანით მისცვალენ, სახიერო, ზეცისა კეთილთა დააწესენ და განუსუენე მათ, ვითარცა ღმერთ ხარ.

განუსუენე, უფალო, სულსა მონისა ამის შენისასა.

შეამკვენ, ქრისტე, დაბადებულნი, და შორის სიმდაბლისა და სიმაღლისა შეზავებულად ცხოველად დამბადე და მოვკუედ რაჲ, კუალად მაცხოვნე. ამისთჳს გევედრებით, მონათა შენთა სულნი მიცვალებულნი განსუენებასა ღირს-ყვენ, სახიერ.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

რაჟამს დამბადე, დამბადებელო, სამოთხისა მკჳდრ და მოქალაქე მყავ, და ურჩ ვქმენ რაჲ ბრძანებასა შენსა, ჯეროვნად გამომჴადე მიერ. ამისთჳს გევედრებით, მონათა შენთა სულნი აღსრულებულნი განსუენებასა ღირს-ყვენ, მოწყალე.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

რომელმან პირველ ადამის გუერდით პირველი დედაჲ ჩუენი ევა დაჰბადა, უთესლოჲსა მუცლისა შენისაგან ჴორცნი შეისხნა, ღმრთისმშობელო, და სიკუ-

დილი შემუსრა და მიცვალებულთა მონათა შენთა შენ მიერ ცხოვრებასა მიჰმადლებს.

## გალობა III „განძლიერდასა“

**მღისჰირი:** სამებაო წმიდაო, აღამაღლე რქაჲ ეკლესიისაჲ დღეს მოუდრეკელად უზესთაეს ბუნებათა სიმაღლესა ზედა სარწმუნოებისა შენისასა, საფუძველსა შეურყეველსა, და მას შინა განმაძლიერენ.

განუსუენე, უფალო, სულსა მონისა ამის შენისასა.

შჯულიერად იღუაწეს მოწამეთა შენთა, ქრისტე მაცხოვარ, და შემკობილნი გჳრგჳნითა კადნიერად გევედრებიან შენ შესუენებულთა მორწმუნეთათჳს, რაჲთა განსუენებაჲ მიჰმადლო და დააწესო ნათელსა შენსა.

განუსუენე, უფალო, სულსა მონისა ამის შენისასა.

ჰირველად განმსწავლე მრავალფერთა ნიშთა და სასწაულთა მიერ მე, შეცთომილი ესე. ხოლო უკუანაჲსკნელ ჩემთჳს განჰკაცენ, და მომიმიე და მჰოვე, მჴსნელო, და წყალობით მიჴსენ და მაცხოვნე და სულთა მიჰმადლე განსუენებაჲ.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

განხრწნადთა ამათ და წარმავალთა შენდა მიცვალებულნი საუკუნეთა საყოფელთა მხიარულნი ღირსყვენ დამკჳდრებად, სახიერო და მრავალმოწყალეო, და მადლით და სარწმუნოებით განამართლენ და განუსუენენ.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

არავინ არს წმიდა შენებრ, ქალწულო, რამეთუ შენ მხოლომან საუკუნითგან არახილული ღმერთი ჭეშმარიტი მუცლად-იღე უთესლოდ და გჳშევ უხრწნელებით ზესთა ცნობისა და სიტყჳსა, ამისთჳს გიგალობთ, უსმლოო.

**დიაკონი:** მერმე და მერმე მშჳდობით უფლისა მიმართ ვილოცოთ.

**გუნდი:** უფალო, შეგჳწყალენ.

**დიაკონი:** მერმეცა გევედრებით განსუენებისათჳს სულისა მიცვალებულისა მონისა ღმრთისა ***(ანუ მჴევლისა - სახელი)***, რაჲთა შეენდვნეს ამას ყოველნივე ცოდვანი ამისნი, ნებსითნი და უნებლიეთნი.

**გუნდი:** უფალო, შეგჳწყალენ.

**დიაკონი:** რაჲთა უფალმან, ღმერთმან ჩუენმან, დააწესოს სული ამისი, სადაცა მართალნი განისუენებენ.

**გუნდი:** უფალო, შეგჳწყალენ.

**დიაკონი:** წყალობაჲ ღმრთისაჲ და სასუფეველი ცათაჲ და მიტევებაჲ ცოდვათა ამისთაჲ, ქრისტეს მიერ უკუდავისა მეუფისა და ღმრთისა ჩუენისაგან მისთჳს და თავთა ჩუენთათჳს და ურთიერთარს ვითხოვოთ.

**გუნდი:** მოგუმადლენ, უფალო.

**დიაკონი:** უფლისა მიმართ ვილოცოთ.

**გუნდი:** უფალო, შეგჳწყალენ.

**მღვდელი:** ღმერთო სულთაო და ყოველთა ჴორციელთაო, რომელმან სიკუდილი განაქარვე და ეშმაკი დასთრგუნე და ცხოვრებაჲ სოფელსა მოანიჭე, შენ, უფალო, განუსუენე სულსა მიცვალებულისა მონისა შენისა ***(ანუ მჴევლისა - სახელი)*** ადგილსა ნათლისასა, ადგილსა მწუანვილოვანსა, ადგილსა განსასუენებელსა, სადა-იგი არა არს სალმობა, მწუხარება და სულთქუმა, და ყოველნი ცოდვანი, ამის მიერ ქმნილნი, საქმითნი, სიტყჳთნი და მოგონებითნი, ვითარცა სახიერმან და კაცთმოყუარემან ღმერთმან, შეუნდვენ, რამეთუ არა არს კაცი, რომელი ცხონდეს და არა სცოდოს, რამეთუ შენ მხოლოჲ ხარ უცხო ყოვლისაგან ცოდვისა და სიმართლჱ შენი სიმართლე არს საუკუნო და სიტყუაჲ შენი - ჭეშმარიტ.

რამეთუ შენ ხარ აღდგომა და ცხოვრება და განსუენება მიცვალებულისა მონისა ამის შენისა ***(ანუ მჴევლისა - სახელი)***, ქრისტე ღმერთო ჩუენო, და შენდა დიდებასა აღვავლენთ თანადაუსაბამოჲთ მამით და ყოვლადწმიდით, სახიერით და ცხოველსმყოფელით სულით შენითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

**გუნდი:** ამინ.

**წარდგომა**, ჴმაჲ 6

**გუნდი ან მედავითნე:** ჭეშმარიტად ამაო არს ყოველივე წარმავალი და ცხოვრებაჲ ესე უმედგრეს აჩრდილისა და სიზმრისა, რამეთუ ცუდად შფოთებს ყოველი, მიწით შობილი, ვითარცა თქუა წიგნმან: რამეთუ ოდეს სოფელი ყოველი შევიძინოთ, მაშინ საფლავივე დავიმკჳდროთ, სადა-იგი ყოველნივე ერთბამად დაემკჳდრებიან, მეფენი და მთავარნი, მდიდარნი და გლახაკნი, ამისთჳსცა, ქრისტე ღმერთო, ამიერ მიცვალებულთა განუსუენე, ვითარცა მოწყალემან და ბუნებით სახიერმან ღმერთმან, რამეთუ შენ მხოლოჲ ხარ უცოდველი და ყოვლადძლიერი.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო, დღეთა ცხოვრე-

ბისა ჩემისათა ნუ დამაგდებ და კაცობრივსა განზრახვასა ნუ მიმანდობ, არამედ შენ მეოხ-მეყავ და მაცხოვნე მე.

## გალობა IV „მესმასა“

**მლისპირი:** რაჟამს წინაჲსწარმეტყუელმან იხილა საიდუმლოჲ დაფარული, განკჳრვებულმან ღაღად-ყო, რამეთუ დასდევ წყალობით სიყუარული მტკიცე, მამაო, და ძჱ შენი მხოლოდშობილი მოეც მეთა კაცთასა მომტევებელად ცოდვათა.

განუსუენე, უფალო, სულსა მონისა ამის შენისასა.

სიბრძნისა უაღრესისა და ნიჭთა სიმაღლისა სასწაულად სიტკბოებით, სახიერო, მარტჳლთა გუნდნი ანგელოზთა გუნდთა თანა შეაერთენ და ერთობით გვევედრებიან, მჴსნელო, და ითხოვენ სულთა ჩუენთა ლხინებასა.

განუსუენე, უფალო, სულსა მონისა ამის შენისასა.

მიმთხუევად უხრწნელისა მის დიდებისა შენისა ღირს-ყვენ სულნი შესუენებულთანი, უფალო, სადა-იგი არს ყოველთა მხიარულთა მკჳდრობაჲ და ჴმაჲ წმიდაჲ მედღესასწაულეთაჲ და ზატიკობაჲ სამარად-

ისოჲ.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

დააწესენ მგალობლად საღმრთოჲსა ძლიერებისა შენისა, რომელნი სოფლით მისცუალენ, და ყვენ იგინი ზიარ ნათლისა წარუვალისა, ქრისტე, და ცოდვათა ბნელი განჴადე მათგან, ვითარცა მხოლოჲ კაცთმოყუარე ხარ.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

საუნჯედ წმიდად, უხრწნელად, კიდობნად და ტამრად, უბიწოო ყოვლადწმიდაო ქალწულო, შუენიერებაჲ ეგე იაკობისი გამოგირჩია მეუფემან და განკაცნა შენგან და აცხოვნა ყოველი სოფელი.

## ᲒᲐᲚᲝᲑᲐ V „ᲓᲐᲛᲘᲗᲒᲐᲜᲡᲐ“

**ძლისპირი:** ბნელისაგან ცოდვათაჲსა გიღაღადებენ შენ სულნი ჩუენნი, მრავალმოწყალეო ღმერთო, ნათლითა მით მიუახრდილებელითა განგუანათლენ და წარგჳმართენ სლვანი ჩუენნი, მახარებელო მშჳდობისაო.

განუსუენე, უფალო, სულსა მონისა ამის შენისასა.

ვითარცა მსხუერპლნი წმიდანი, მღუნად შეიწირნეს ღმრთისა მარტჳლნი და ცხოვრებასა უოხჭნოსა ჩუენთჳს მოცემად ითხოვენ მისგან, რაჲთა ვედრებითა მათითა მოგუცეს ღმერთმან მშჳდობაჲ და დიდი წყალობაჲ.

განუსუენე, უფალო, სულსა მონისა ამის შენისასა.

ზეცათა შინა შუებასა და მარჯუენითსა ნაწილსა ღირს-ყვენ მორწმუნენი მონანი შენნი, პირველდამინებულნი, მეუფეო, და ბრალთა მათთა მიტევება მიეც და დააწესენ ნათელსა შენსა.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

მხოლოო ცხოველსმყოფელო, უფსკრულო სახიერებისაო, სულნი მიცვალებულთანი სასუფეველსა შენსა დააწესენ და განსუენებაჲ მიჰმადლე მათ, მჴსნელო, და ნუ მოიჴსენებ ცოდვათა მათთა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მალ ჩემდა და საგალობელ ქრისტე ღმერთი არს, ჵ დედოფალო, რამეთუ ექმნა მაცხოვარ წარწყმედულთა და ჯოჯოხეთისა ბჭეთაგან იჴსნნა მორწმუნეთა სულნი შენგან ჴორცთშესხმითა, ყოვლადწმიდაო.

# ᲒᲐᲚᲝᲑᲐ VI „ᲦᲐᲦᲐᲓᲧᲐᲕᲡᲐ“

**ძლისპირი:** მუცლად-იღო იონა ვეშაპმან და არა განხრწნა მან იგი, რამეთუ მით მოასწავა სახჱ სამ დღე დაფლვისა შენისაჲ, რომელმანცა დაფლვაჲ თავს-იდევ ჩუენთჳს, სახიერ, და ეტყოდა იგი მცველთა მათ: ჵ ცრუნო, წყალობაჲ თქუენი დაუტევეთ თქუენ დღეს.

განუსუენე, უფალო, სულსა მონისა ამის შენისასა.

რაჟამს ჯუარს-ეცუ, გუნდი მოწამეთაჲ შეჰკრიბე, რომელნი ებაძვნეს ვნებათა შენთა, ჵ ყოვლადსახიერო. მათ მიერ გევედრებით, მიცვალებულთა მონათა შენთა მიეც განსუენებაჲ და ღირს-ყვენ მკჳდრ-ყოფად სავანე-თა მათ საუკუნეთა.

განუსუენე, უფალო, სულსა მონისა ამის შენისასა.

რაჟამს-იგი განკითხვად სოფლისა მოხჳდე საშინელებით, მაშინ, ყოვლადსახიერო, ღრუბლითა მიგებებად ღირს-ყვენ მონანი შენნი, სარწმუნოებით დამინებულნი, რომელნი ქუეყანით მისცვალენ, და მიეც სიხარული და შუებაჲ სამარადისოჲ.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

შენ ხარ წყაროჲ ცხოვრებისაჲ, ქრისტე, რომელი გამოიყვანებ ძალითა ღმრთეებისაჲთა კრულთა საუკუნეთა, შენდამი მიცვალებულთა მონათა შენთა მიჰმადლე, მოწყალე, შუებაჲ სამოთხისაჲ და ფუფუნებაჲ სასუფეველისაჲ.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

საღმრთოსა რაჲ და ყოვლადწმიდასა მცნებასა გარდავჰჴედით, მიწად მივიქეცით, ვინაჲ-იგი პირველ დავიბადენით, ხოლო შენ მიერ, სძალო, ზეცად ავმაღლდით ქუეყანისაგან და სიკუდილისა ხრწნილებაჲ განვაგდეთ, ამისთჳს გნატრით, ყოვლადწმიდაო.

**დიაკონი:** მერმე და მერმე მშჳდობით უფლისა მიმართ ვილოცოთ.

**გუნდი:** უფალო, შეგჳწყალენ.

**დიაკონი:** მერმეცა გევედრებით განსუენებისათჳს სულისა მიცვალებულისა მონისა ღმრთისა ***(ანუ მჴევლისა - სახელი)***, რაჲთა შეენდვნეს ამას ყოველნივე ცოდვანი ამისნი, ნებსითნი და უნებლიეთნი.

**გუნდი:** უფალო, შეგჳწყალენ.

**დიაკონი:** რაჲთა უფალმან ღმერთმან ჩუენმან დააწესოს სული ამისი, სადაცა მართალნი განისუენებენ.

**გუნდი:** უფალო, შეგჳწყალენ.

**დიაკონი:** წყალობაჲ ღმრთისაჲ და სასუფეველი ცათაჲ და მიტევებაჲ ცოდვათა ამისთაჲ ქრისტეს მიერ უკუდავისა მეუფისა და ღმრთისა ჩუენისაგან მისთჳს და თავთა ჩუენთათჳს და ურთიერთარს ვითხოვოთ.

**გუნდი:** მოგუმადლენ, უფალო.

**დიაკონი:** უფლისა მიმართ ვილოცოთ.

**გუნდი:** უფალო, შეგჳწყალენ.

**მღვდელი:** ღმერთო სულთაო და ყოველთა ჴორციელთაო, რომელმან სიკუდილი განაქარვე და ეშმაკი დასთრგუნე და ცხოვრებაჲ სოფელსა მოანიჭე, შენ, უფალო, განუსუენე სულსა მიცვალებულისა მონისა შენისა *(ანუ მჴევლისა - სახელი)* ადგილსა ნათლისასა, ადგილსა მწუანვილოვანსა, ადგილსა განსასუენებელსა, სადა-იგი არა არს სალმობა, მწუხარება და სულთქუმა, და ყოველნი ცოდვანი, ამის მიერ ქმნილნი, საქმითნი, სიტყჳთნი და მოგონებითნი, ვითარცა სახიერმან და კაცთმოყუარემან ღმერთმან, შეუნდვენ, რამეთუ არა არს კაცი, რომელი ცხონდეს და არა სცოდოს, რამეთუ შენ მხოლოჲ ხარ უცხო ყოვლისაგან ცოდვისა, და სიმართლჱ შენი სიმართლე არს საუკუნო და სიტყუაჲ შენი - ჭეშმარიტ.

რამეთუ შენ ხარ აღდგომა და ცხოვრება და განსუენება მიცვალებულისა მონისა ამის შენისა ***(ანუ მჴევლისა - სახელი)***, ქრისტე ღმერთო ჩუენო, და შენდა დიდებასა აღვავლენთ თანადაუსაბამოჲთ მამით და ყოვლადწმიდით, სახიერით და ცხოველსმყოფელით სულით შენითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

**გუნდი:** ამინ.

*დიაკონი აღასრულებს კმევას.*

## ᲙᲝᲜᲓᲐᲙᲘ

წმიდათა თანა განუსუენე, ქრისტე ღმერთო, სულსა მონისა შენისასა, სადა-იგი არა არს ჭირი, მწუხარებაჲ, არა ურვაჲ, არცა სულთქუმაჲ, არამედ სიხარული და ცხოვრებაჲ იგი დაუსრულებელი.

## ᲘᲙᲝᲡᲘ

შენ მხოლოჲ ხარ უკუდავი, ყოვლადძლიერო, რომელმან-ეგე შეჰქმენ და დაჰბადე კაცი, ხოლო კაცნი ქუეყანით დავიბადენით, და კუალად მუნვე ქუეყანად და მიწად მივიქცევით ჩუენ, ვითარ-იგი სთქუ შემოქმედმან

ჩემმან და მიბრძანე, ვითარმედ: მიწა ხარ და მიწადვე მიიქეც, სადა-იგი მივიქცევით ყოველნი მოკუდავნი, ვინაჲცა დაფლვისა ჩუენისა გოდებასა ვგოდებთ და გალობით ვღაღადებთ და ვიტყჳთ საღმრთოსა ამას გალობასა: ალილუია.

*და კუალად კონდაკი.*

წმიდათა თანა განუსუენე, ქრისტე ღმერთო, სულსა მონისა შენისასა, სადა-იგი არა არს ჭირი, მწუხარებაჲ, არა ურვაჲ, არცა სულთქუმაჲ, არამედ სიხარული და ცხოვრებაჲ იგი დაუსრულებელი.

## ᲒᲐᲚᲝᲑᲐ VII „ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲣᲚᲐᲠᲡᲐ“

**ძლისპირი:** ჵ სასწაული, რომელმან საჴუმილსა დაიცვნა სამნი ყრმანი შეუწუელად, საფლავსა შინა მკუდრად უსულო იქმნა დღეს მაცხოვრად ჩუენდა, რომელსა უღაღადებთ: ღმერთო, მჴსნელო ჩუენო, კურთხეულ ხარ შენ.

განუსუენე, უფალო, სულსა მონისა ამის შენისასა.

სისხლთა მათ შენთა ჴკურებითა იჴსნენ მარტჳლნი მცნებისა გარდასლვისაგან და თჳსთა სისხლთა დათხევითა ვნებათა შენთა ხატ-ექმნნეს და მადლობით

იტყოდეს: ღმერთო, მჴსნელო ჩუენო, კურთხეულ ხარ შენ.

განუსუენე, უფალო, სულსა მონისა ამის შენისასა.

განმჳნებული სიკუდილი მოჰკალ, ქრისტე ღმერთო, და სულნი სარწმუნოებით დამინებულთანი სიკუდილისაგან იჴსენ და შენ წინაშე მკჳდრ-ყვენ, რაჲთა გალობდენ: ღმერთო, მჴსნელო ჩუენო, კურთხეულ ხარ შენ.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

Ց მეუფეო, რომელმან მომეც სული ესე შთაბერვითა მით საღმრთოჲთა, მიცვალებულნი სასუფეველსა შენსა მკჳდრ-ყვენ წყალობით, რაჲთა გიღაღადებდენ: ღმერთო, მჴსნელო ჩუენო, კურთხეულ ხარ შენ.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

უმაღლეს იქმენ ყოველთავე დაბადებულთა, სძალო, გჳშევ რაჲ დამბადებელი, რომელმან შეფქვნა ბჭენი სიკუდილისანი; ამისთჳს გნატრით, უბიწოო, და ვიტყჳთ: დედაო ღმრთისაო, კურთხეულ ხარ შენ.

## გალობა VIII „აკურთხევდითსა“

**ძლისპირი:** ცაჲ ვრცელი განცჳფრებულ არს და მრწის საფუძველი ქუეყანისაჲ დღეს შიშით, რამეთუ მაღალთა შინა მყოფი შერაცხილ მკუდართა იქმნა და აწ კნინსა საფლავსა ესტუმრა. ყრმანი აკურთხევდით მას, მღდელნი უგალობდით მას, ერნი უფროჲსად ამაღლებ-დით მას უკუნისამდე.

განუსუენე, უფალო, სულსა მონისა ამის შენისასა.

ახოვნად მოღუაწებითა ძლევისა გჳრგჳნნი დაიდ-გენით, მარტჳლნო ნეტარნო, და მეოხად გამოს-ჩნდით სულთა მიცვალებულთათჳს და ქრისტესა ღმერ-თსა უღაღადებთ: ყრმანი აკურთხევდით მას, მღდელნი უგალობდით მას, ერნი უფროჲსად ამაღლებდით მას უკუნისამდე.

განუსუენე, უფალო, სულსა მონისა ამის შენისასა.

რომელთა ცხოვრებაჲ ესე განვლეს მოღუაწებითა და შენდა, მეუფისა, მოვიდეს, შეიტკბენ, მოწყალე, და გან-სუენებაჲ მიეც, რაჲთა გალობით გიღაღადებდენ: ყრმა-ნი აკურთხევდით მას, მღდელნი უგალობდით მას, ერნი უფროჲსად ამაღლებდით მას უკუნისამდე.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

ქუეყანასა მას მშჳდთასა განსუენებად ღირს-yვენ შენდა მიცვალებულნი, მაცხოვარ, და სარწმუნოებით და მადლით განამართლენ და აღჴოცენ შეცოდებანი მათნი, რაჲთა გაკურთხევდენ შენ, რაჲთა გიგალობდენ შენ, რაჲთა უფროჲსად აღგამაღლებდენ შენ უკუნისამ-დე.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

გნატრით ყოველნი, ქალწულო ყოვლადსანატრე-ლო, რომელმან სიტყუაჲ ღმრთისაჲ, მეუფჱ ყოველ-თაჲ, შემოქმედი ჭეშმარიტად, ნეტარი, ჴორცითა გჳშევ გამოუთქუმელად. ერმანი გაკურთხევენ შენ, მღდელნი გიგალობენ შენ, ერნი უფროჲსად აღგამაღლებენ შენ უკუნისამდე.

**მღვდელი:** ღმრთისმშობელსა, დედასა ნათლისასა, გალობით ვადიდებდეთ.

## ᲒᲐᲚᲝᲑᲐ IX „ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲣᲚᲐᲠᲡᲐ“

**ძლისპირი:** შენ მხოლოჲ სანატრელ ხარ თესლებსა შორის, ქალწულო, რამეთუ გამოგჳბრწყინდა შენგან ნათელი მსხდომარეთა ბნელსა მას შინა და განანათლნა სულნი ჩუენნი. ამისთჳს, ღმრთისმშობელო, სამართლად გადიდებთ.

განუსუენე, უფალო, სულსა მონისა ამის შენისასა.

მწყობრი წმიდაჲ მარტჳლთა სასოებამან განამჴნო და საღმრთოჲთა სურვილითა ფრთოვან-ყვნა იგინი და შეუძრველთა მათ კეთილთა მკჳდრად გამოაჩინნა, რომელთა თანა შესუენებულთა სულნი ღირს-ყვენ დამკჳდრებად.

განუსუენე, უფალო, სულსა მონისა ამის შენისასა.

ბრწყინვალესა ნათელსა შენსა, ქრისტე მეუფეო, ღირს-ყვენ შესუენებულთა სულნი და განუსუენე წიაღთა შინა აბრაჰამისთა და უოხჭნოჲსა ნეტარებისა ფუფუნებაჲ მიჰმადლე, რაჲთა გადიდებდენ.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

რომელი ხარ ბუნებით ტკბილი და მრავალმოწყალე,

რომელნი სოფლისა ამის ამაოჲსაგან და აჩრდილთა სიკუდილისათა მისცვალენ, ნათელსა შენსა საღმრთოსა დააწესენ და მიეც განსუენებაჲ.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

კარვად წმიდად გიცნობთ შენ, ფიცრად და კიდობნად საღმრთოდ, ღმრთისმშობელო დედოფალო, რამეთუ შენგან შობილმან სისხლითა თჳსითა განმართლებაჲ და მიტევებაჲ მოგუანიჭა ჩუენ და მძლავრი ჯოჯოხეთი ძლევით წარმოსტყუენა.

**მედავითნე:** წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდაო, შეგჳწყალენ ჩუენ ***(3-გზის)***.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ყოვლადწმიდაო სამებაო, შეგჳწყალენ ჩუენ, უფალო, გჳსენ და გჳლხინე ცოდვათა ჩუენთაგან, მეუფეო, შეგჳნდვენ უსჯულოებანი ჩუენნი, წმიდაო, მოიხილე და განკურნენ უძლურებანი ჩუენნი სახელისა შენისათჳს.

უფალო, შეგჳწყალენ ***(3-გზის)***.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევაჲ შენი, იყავნ ნებაჲ შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა, პური ჩუენი არსობისაჲ მომეც ჩუენ დღეს და მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩუენთა, და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიჴსნენ ჩუენ ბოროტისაგან.

**მღვდელი:** რამეთუ შენი არს სუფევაჲ, მალი და დიდებაჲ, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

**გუნდი:** ამინ.

*დიაკონი გალობის დროს აღასრულებს კმევას.*

**გუნდი:** სულთა თანა აღსრულებულთა მართალთასა სულსა მონისა შენისასა განუსუენე, მაცხოვარ, და ღირს-ყავ სანატრელსა მას ცხოვრებასა, კაცთმოყუარე.

განსასუენებელსა შენსა, მაცხოვარ, სადა ყოველნი წმიდანი შენნი მკჳდრ არიან, განუსუენე სულსა მონისა შენისასა, რამეთუ შენ მხოლოჲ ხარ კაცთმოყუარე.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

შენ ხარ ღმერთი, რომელი შთაჰჴედ ჯოჯოხეთად და დაჰჴსნენ სალმობანი შესუენებულთანი. აწცა განუ-

სუენე, ქრისტე ღმერთო, სულსა მონისა ამის შენისასა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

შენ, მხოლოო უბიწოო და უხრწნელო ქალწულო, რომელმან ჰშევ ღმერთი ჴორცშესხმული, მას ევედრე, რაჲთა აცხოვნოს სული ამისი.

**დიაკონი:** შეგჳწყალენ ჩუენ, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა, გევედრებით, ისმინე და შეგჳწყალენ.

**გუნდი:** უფალო, შეგჳწყალენ *(3-გზის)*.

**დიაკონი:** მერმეცა გევედრებით განსუენებისათჳს მიცვალებულისა მონისა შენისა *(ანუ მჴევლისა - სახელი)*, რაჲთა შეენდვნეს ამას ყოველნივე შეცოდებანი ამისნი, ნებსითნი და უნებლიეთნი.

**გუნდი:** უფალო, შეგჳწყალენ *(3-გზის)*.

**დიაკონი:** რაჲთა უფალმან ღმერთმან ჩუენმან დააწესოს სული ამისი, სადაცა მართალნი განისუენებენ.

**გუნდი:** უფალო, შეგჳწყალენ *(3-გზის)*.

**დიაკონი:** წყალობაჲ ღმრთისაჲ და სასუფეველი ცათაჲ და მიტევებაჲ ცოდვათა ამისთაჲ, ქრისტეს მიერ უკუდავისა მეუფისა და ღმრთისა ჩუენისაგან მისთჳს და თავთა ჩუენთათჳს და ურთიერთარს ვითხოვოთ.

**გუნდი:** მოგვიმადლენ, უფალო.

**დიაკონი:** უფლისა მიმართ ვილოცოთ.

**გუნდი:** უფალო, შეგვიწყალენ.

**მღვდელი:** რამეთუ შენ ხარ აღდგომა და ცხოვრება და განსუენება მიცვალებულისა მონისა შენისა ***(ანუ მჴევლისა - სახელი),*** ქრისტე ღმერთო ჩუენო, და შენდა დიდებასა აღვავლენთ, თანადაუსაბამოჲთ მამით და ყოვლადწმიდით, სახიერით და ცხოველსმყოფელით სულით შენითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

**გუნდი:** ამინ.

**დიაკონი:** სიბრძნით.

**გუნდი:** უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო, გუაკურთხენ.

**მღვდელი:** ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო, გუაცხოვნენ ჩუენ.

**გუნდი:** უპატიოსნესსა ქერუბიმთასა და აღმატებით უზესთაესსა სერაფიმთასა, განუხრწნელად მშობელსა სიტყჳსა ღმრთისასა, მხოლოსა ღმრთისმშობელსა გალობით ვადიდებდეთ.

**მღვდელი:** დიდებაჲ შენდა, ქრისტე ღმერთო, სასოე-

ბაო ჩუენო, დიდებაჲ შენდა.

**გუნდი:** დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

უფალო, შეგჳწყალენ *(3-გზის)*.

სახელითა უფლისაჲთა, უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო, გუაკურთხენ.

**მღვდელი:** რომელი ცხოველთა და მკუდართა აღდგომა არს, ქრისტემან, ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩუენმან, მეოხებითა ყოვლადუხრწნელისა დედისა თჳსისაჲთა, წმიდათა დიდებულთა და ყოვლადქებულთა მოციქულთა, ღირსთა და ღმერთშემოსილთა მამათა ჩუენთა და ყოველთა წმიდათაჲთა, სულნი ჩუენგან მიცვალებულისა მონისა ღმრთისა *(ანუ მჴევლისა - სახელი)* საყოფელსა მართალთასა დააწესოს, წიაღთა შინა აბრაჰამისათა განუსუენოს და ჩუენ შეგჳწყალნეს, ვითარცა სახიერ არს და კაცთმოყუარე.

**გუნდი:** ამინ.

**დიაკონი:** სანატრელსა შინა დამინებასა საუკუნოჲ განსუენებაჲ მიჰმადლე, უფალო, მიცვალებულსა მონასა შენსა *(ანუ მჴევალსა - სახელი)* და მიეც ამას საუკუნო ჴსენება.

**გუნდი:** საუკუნოდ იყავნ ჴსენებაჲ ამისი *(2-გზის)*.

ჴსენებაჲ და კურთხევაჲ ამისი.

სულმან მისმან კეთილთა შინა განისუენოს და ნათესავმან მისმან დაიმკჳდროს ქუეყანაჲ.

სულნი და სულნი მართალთანი შენ გაქებენ, უფალო.

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის
გამომცემლობა
2016

**კომპიუტერული უზრუნველყოფა და ტექნიკური რედაქტორი**
**შორენა ფარქოსაძე**

ყდაზე გამოსახულია მარიამ დედოფლისეული გარდამოხსნა, XVII ს. საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

შიდა ფურცელზე – ჯვარცმა, ჩრდილოეთი მხარის მოხატულობა. ლაშთხვერი, თარინგზელის ეკლესია, XIV-XV სს-თა მიჯნა.


რედაქციის მისამართი

თბილისი, სიონის ქ. №13/40
E-mail: gamomcemloba@mail.ru

Address of editorial Board
13/40, SIONI STR. TBILISI

დაიბეჭდა

**გამომცემლობა „მერიდიანში“**
**თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №47**
**ტელ.: 239-15-22**
E-mail: meridiani777@gmail.com